



**ინფექციური  
დაავადებების  
სტატისტიკა  
საქართველოში**

## სარჩევი

შესავალი .....	3
გრიპის სტატისტიკა .....	5
წითელას სტატისტიკა .....	7
წითურას სტატისტიკა .....	9
ყვიანახველას სტატისტიკა .....	10
სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების სტატისტიკა.....	11
ვირუსული ჰეპატიტის სტატისტიკა .....	12
სხვა ინფექციური დაავადებების სტატისტიკა .....	14




მოცემული მასალის/გამოცემის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

## შესავალი

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) ახალი კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა. დღეის მდგომარეობით მსოფლიოს 190 ქვეყანაში აღნიშნული ვირუსის 400 ათასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირებული, რომლის შედეგად 20 ათასამდე ადამიანი დაიღუპა. ახალი კორონავირუსის შედეგად დაინფიცირებულთა და გარდაცვლილთა მაჩვენებლები ყოველდღიურად მნიშვნელოვნად იზრდება და მისი საბოლოო შედეგების პროგნოზი შეუძლებელია. სხვა ქვეყნებთან ერთად, ამ გლობალური გამოწვევის წინაშე დგას საქართველოც. ქვეყნების მიხედვით არსებული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ვირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე ქვეყანა პანდემიასთან ბრძოლას წარმატებით ართმევს თავს. თუმცა, მისი საბოლოო გამკლავება როგორც ხელისუფლების, ასევე თითოეული მოქალაქის მიერ მნიშვნელოვან ძალისხმევას და მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

უახლესი ისტორიის მანძილზე, 2009 წელს, პანდემიად ასევე გამოცხადდა ე.წ. ღორის გრიპის (H1N1) ვირუსი, რომელიც 2010 წლის აგვისტოში დასრულდა. პანდემიის დროს საქართველოში 120 შემთხვევა დაფიქსირდა, საიდანაც [18 გარდაიცვალა](#). მომდევნო წლებში H1N1-ის პანდემია სეზონურ გრიპად იქცა, რომელსაც როგორც სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს კვლავ გააჩნია მძიმე შემთხვევების გამოწვევის მაღალი უნარი. როგორც საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევები აჩვენებს 2010 წლის შემდეგ იგივე შტამის A/H1p ქვეტიპის ვირუსის შედეგად, საქართველოში დაიღუპა 133 ადამიანი, საიდანაც ყველაზე მეტი (46), 2015-2016 წლების გრიპის სეზონს უკავშირდება.

ახალი კორონა ვირუსის პანდემიის ფონზე, ინტერესს იწვევს ბოლო წლებში ქვეყანაში ინფექციური დაავადებების გავრცელების სტატისტიკური მონაცემები. მსგავსი სახის გარკვეული სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე, თუმცა აღნიშნული მონაცემები არ არის წარმოდგენილი ანალიზისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტების მიხედვით, როგორცაა დაავადების კონკრეტული ტიპები, გავრცელების რეგიონები, გარდაცვალების შემთხვევები და ა.შ. მაგალითად, საქსტატის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია გრიპის და მწვავე რესპირატორული ინფექციების გავრცელების მხოლოდ ჯამური მაჩვენებლები რომლის მიხედვით, ბოლო წლებში მსგავსი ტიპის ავადობის ყველაზე მაღალ ნიშნულს 2016 წელს მიაღწია - 458,357 შემთხვევა. გრიპის და მწვავე რესპირატორული ინფექციების სტატისტიკაში წარმოდგენილი დიდი რაოდენობრივი მაჩვენებლები, სავარაუდოდ განპირობებულია ნებისმიერი ტიპის, მათ შორის მსუბუქი ფრომით მიმდინარე გრიპის ვირუსის შემთხვევების გათვალისწინებით.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში აღრიცხული ინფექციური დაავადებების შესახებ დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის მოთხოვნით IDFI-მ მიმართა ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ახალი კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებით ქვეყანაში და განსაკუთრებით აღნიშნულ სამსახურში არსებული ფორსმაჟორული სიტუაციის მიუხედავად, ცენტრმა შეინარჩუნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტი და IDFI-ს სრულყოფილად მიაწოდა უწყებაში დაცული ინფორმაცია.

ცენტრის განმარტებით 2012 წლიდან ინფექციურ დაავადებათა აღრიცხვა-რეგისტრაციის წესში შევიდა კარდინალური ცვლილებები, რის გამოც მანამდე აღრიცხულ-რეგისტრირებული სტატისტიკური მონაცემების შედარება შეუძლებელია.

ამასთან, როგორც ირკვევა 2012 წლამდეც და მის შემდგომაც მოქმედი ინფექციურ დაავადებათა აღრიცხვა-რეგისტრაციის წესი, დაავადებათა გადამდებლობის გათვალისწინებით არ ითვალისწინებს მოქალაქეობის, სქესისა და გარდაცვლილთა რეგისტრაციას. აღნიშნული მონაცემები გროვდება მხოლოდ ადამიანთა ჯგუფური დაავადებების (ეპიდაფეთქება) ეპიდკვლევის პროცესში.

ქვევით, ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიღებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი სხვადასხვა ინფექციური დაავადებების სახეების მიხედვით.

## გრიპის სტატისტიკა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2006 წლამდე გრიპისა და ზემო სასუნთქი გზების ინფექციებზე ხორციელდებოდა პოპულაციური ეპიდზედამხედველობა, 2006 წლიდან 2012 წლამდე როგორც პოპულაციური, ასევე საყრდენი ბაზებით (წინასწარ შერჩეული სამედიცინო დაწესებულებები). პოპულაციური ზედამხედველობის ფარგლებში, სამედიცინო დაწესებულებებიდან ყოველთვიური აგრეგირებული ფორმატით გროვდებოდა ინფორმაცია, გრიპის, გრიპის მაგვარი დაავადებების ჰოსპიტალიზაციის შემთხვევებისა და ზემო სასუნთქი გზების ინფექციების შესახებ, ხოლო საყრდენ ბაზებზე მძიმე მწვავე რესპირაციული დაავადებების (SARI) და გრიპისმაგვარი დაავადებების ამბულატორიულ შემთხვევებზე (ILI) წარმოებდა ეპიდემიოლოგიური და კლინიკური მონაცემების შეგროვება და ვირუსოლოგიური მონიტორინგი.


2012 წლიდან ეპიდზედამხედველობა ხორციელდება მხოლოდ საყრდენი ბაზების მეშვეობით. საყრდენი ბაზები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, ბათუმი, ზუგდიდი). მონაცემები გროვდება ყოველკვირეულად, გრიპის სეზონის შესაბამისად.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები მოიცავს მხოლოდ, ლაბორატორიულად დადასტურებულ A და B ტიპის გრიპის შემთხვევათა რაოდენობას გრიპის სეზონების მიხედვით.

ზოგადად, ცნობილია გრიპის ვირუსის A, B, C და D ტიპები, თუმცა ამჟამად სეზონურ გრიპს იწვევს მხოლოდ A ვირუსის ქვეტიპები - A (H3N) და A(H1N1) და B ტიპის ვირუსები, რომლებიც განაპირობებენ სეზონური ეპიდემიური დაავადებების [გავრცელებას](#), აქედან გამომდინარე, სეზონური გრიპის ვაქცინა შეიცავს მხოლოდ A და B ტიპის ვირუსებს და ყურადღებას არ ამახვილებს C ან D ტიპზე, მათი მსუბუქი ფორმებიდან გამომდინარე.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის პანდემია გამოწვეული იყო A(H1N1p) ქვეტიპით, რომელიც იმ დროისთვის პირველად დაფიქსირდა მსოფლიოში და გამოიწვია 18,000-ზე მეტი ლეტალური შედეგი. მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, როგორც A ასევე B ტიპის გრიპის ვირუსები ლაბორატორიულად ყველაზე მეტი შემთხვევა დადასტურდა 2011-2012 წლების გრიპის სეზონზე - A ტიპი - 623 შემთხვევა, B ტიპი - 607 შემთხვევა. 2018-2019 წლების სეზონზე ლაბორატორიულად დადასტურებულია A ტიპის - 462 შემთხვევა, ხოლო B ტიპის - მხოლოდ 3 შემთხვევა.


## ლაბორატორიულად დადასტურებული გრიპის შემთხვევათა რაოდენობა



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

მოწოდებული სტატისტიკის მიხედვით 2010-2019 წლების გრიპის სეზონებზე, ლაბორატორიულად დადასტურებული გრიპით, გამოწვეულია სიკვდილის 165 შემთხვევა, საიდანაც ყველაზე დიდი მაჩვენებელი (47) 2015-2016 წლების გრიპის სეზონზე მოდის. გრიპით გამოწვეული სიკვდილის 93% A ტიპის ვირუსს უკავშირდება, საიდანაც ე.წ. ღორის გრიპის (A/H1p) ქვეტიპი დომინირებს.

## გრიპით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

**ლაბორატორიულად დადასტურებული გრიპით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობა**

გრიპის სეზონი	ვირუსის ტიპი	რაოდენობა	ვირუსის ტიპი	რაოდენობა
2010-2011 წწ.	(A/H1p)	13	(B)	10
2011-2012 წწ.	(A/H3)	5		
2012-2013 წწ.	(A/H1p)	28		
2013-2014 წწ.	(A/H3)	9		
2014-2015 წწ.	(A/H1p)	9	(A/H3)	1
2015-2016 წწ.	(A/H1p)	46	(A/H3)	1
2016-2017 წწ.	(A/H3)	5	(B)	1
2017-2018 წწ.	(A/H1p)	2		
2018-2019 წწ.	(A/H1p)	35		

*წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი*

## წითელას სტატისტიკა

ბოლო წლებში ეპიდემიოლოგიური აფეთქებით ხასიათდებოდა წითელას ინფექციური დაავადება. 2019 წელს წითელას 3,918 შემთხვევა არის აღრიცხული, ხოლო 2018 წელს - 2,199.


საქართველოში 2017-2018 წლის წითელას ეპიდემია დაიწყო ნოემბრის თვეში, აჭარაში და შემდგომ მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა. 2018 წელს წითელას ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში - 854, იმერეთში 469, ხოლო აჭარაში - 322. 2019 წელს ეს მაჩვენებელი თბილისში დაახლოებით გაორმაგდა - 1,670, იმერეთი-570, სამეგრელო -484, კახეთი- 315. როგორც 2018, ასევე 2019 წელს წითელას შემთხვევების ყველაზე დიდი წილი 30-59 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის.

წითელას ეპიდემიას საქართველოში კიდევ უფრო მასშტაბური სახე ჰქონდა, 2013 წელს, როდესაც 2019 წელთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მეტი 7,872 შემთხვევა იყო აღრიცხული.

აღსანიშნავია, რომ 2018-2019 წლებში წითელას ეპიდსიტუაცია გაუარესდა მთლიანად ევროპის კონტინენტზე. 2019 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წითელა-წითურას ელიმინაციის პროგრამების ხელმძღვანელმა, პატრიკ ო კონერმა, წითელას გავრცელების შეკავების მიზნით საქართველოში ვიზიტისას ჩვენი ქვეყნის მიერ განხორციელებული ღონისძიებები დადებითად შეაფასა.

## წითელას ეპიდსიტუაცია

■ წითელას რაოდენობა



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

### წითელას შემთხვევათა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
თბილისი	7	3,744	1,365	255	7	10	854	1,670
იმერეთი	5	497	220	23	0	0	469	570
კახეთი	2	486	121	3	1	0	37	315
სამეგრელო	4	409	771	19	1	2	285	484
აჭარა	3	195	68	6	4	65	322	135
სხვა უწყებები	10	2,541	643	125	1	17	232	744

### წითელას გავრცელება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წელი	<1	1-4	5-14	15-19	20-29	30-59	60 >
2019	474	587	396	285	960	1,193	23
2018	217	309	302	159	592	611	9

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



## წითურას სტატისტიკა


წითურა მწვავე ვირუსულ-ინფექციური დაავადებაა, რომელიც ძირითადად გვხდება ბავშვებში. 2010 წლის შემდეგ საქართველოში წითურას ყველაზე მეტი შემთხვევა 2013 წელს გამოვლინდა - 224. ეს მაჩვენებელი 2015 წლისთვის 100-მდე შემცირდა, ხოლო 2016 წლის შემდეგ მხოლოდ ერთეული შემთხვევები არის გამოვლენილი. 2013 წელს ყველაზე მეტი შემთხვევა თბილისში-94, იმერეთის-32 და შიდა ქართლის -23 რეგიონებზე ნაწილდება.



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

## ყვანახველას სტატისტიკა

ყვანახველა ზედა სასუნთქი გზების ინფექციური დაავადებაა, რომელიც ყველაზე ხშირად უჩნდება მცირე ასაკოვან ბავშვებს. 2010-2019 წლებში ყვანახველას ინფექციური დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა 2018 წელს - 559. ეს მაჩვენებელი 2019 წელს 290-მდე შემცირდა და დაახლოებით 2017 წლის მაჩვენებელს გაუთანაბრდა. 2017-2019 წლებში ყვანახველას შემთხვევების ყველაზე მეტი შემთხვევაში აღრიცხულია აჭარაში.




წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ყვანახველას შემთხვევათა რაოდენობა რეგიონების მიხედვით								
რეგიონები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
აჭარა	49	27	17	15	22	112	137	66
თბილისი	39	40	32	56	33	52	104	50
იმერეთი	128	9	14	17	16	48	164	56
სამეგრელო	76	14	4	51	24	10	67	59
სხვა	54	25	28	36	25	58	87	59

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

## სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების სტატისტიკა

2015 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი კლების ტენდენციით ხასიათდება სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების შემთხვევები. კერძოდ, 2019 წელს გამოვლენილია მსგავსი 15,335 შემთხვევა, რაც დაახლოებით ორჯერ ნაკლებია 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მსგავსი ინფექციური დაავადებების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აჭარის და იმერეთის რეგიონზე მოდის. მაგალითად, 2019 წელს დაახლოებით ორჯერ მეტი ინფექციური წარმოშობის დიარეების შემთხვევაა აღრიცხული აჭარის და იმერეთის რეგიონში ვიდრე თბილისში. 2019 წელს მსგავსი ინფექციური დაავადების 65%, ხოლო 2018 წელს - 64%, 14 წლამდე მოზარდებში არის გამოვლენილი.



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ინფექციური დიარეების შემთხვევათა რაოდენობა რეგიონების მიხედვით								
რეგიონები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
აჭარა	8,684	8,701	10,392	15,322	11,737	6,107	6,830	5,443
თბილისი	5,348	4,372	4,332	4,049	3,530	2,428	2,845	2,559
იმერეთი	6,413	6,325	5,194	6,823	6,864	4,709	5,193	4,996
სხვა	5,617	5,877	5,562	4,307	5,043	3,515	3,736	2,337


ინფექციური დიარეების შემთხვევები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით							
წელი	<1	1-4	5-14	15-19	20-29	30-59	60 >
2019	1,510	4,723	3,783	872	1,261	2,004	1,182
2018	1,790	5,650	4,523	977	1,611	2,611	1,442

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

## ვირუსული ჰეპატიტის სტატისტიკა

ვირუსული ჰეპატიტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია 2018 წლის მდგომარეობით (2019 წლის მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2020 წლის ივნისში). ვირუსული ჰეპატიტის სტატისტიკური მონაცემები მოიცავს ქრონიკულ ვირუსულ შემთხვევებსაც. სტატისტიკის მიხედვით, 2012 წლის შემდეგ ვირუსული ჰეპატიტის შემთხვევები ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება, რაც უმეტესწილად განპირობებულია მსგავსი სახის დაავადების მკურნალობაზე სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხელმისაწვდომობის და შესაბამისად მიმართვიანობის ზრდით. კერძოდ, 2015 წელს ამოქმედდა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც იმკურნალა 50 ათასზე მეტმა ადამიანმა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, აღრიცხულ ვირუსულ ჰეპატიტებს შორის, ყველაზე დიდი წილი სწორედ C ჰეპატიტის ვირუსზე მოდის. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით გამოვლენილი ვირუსული ჰეპატიტების 84% C ჰეპატიტს მიეკუთვნება.

რეგიონების მიხედვით 2018 წელს ყველა მეტი ვირუსული ჰეპატიტის შემთხვევა აღრიცხულია აჭარაში - 2,576, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 2,257 და თბილისში - 1,287. ვირუსული ჰეპატიტის გამოვლენილი შემთხვევების 65% მიეკუთვნება 30-59 წლის ასაკობრივ ჯგუფს.




წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წელს ვირუსული ჰეპატიტის შემთხვევები რეგიონების და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით								
წელი	<1	1-4	5-14	15-19	20-29	30-59	60 >	სულ
აჭარა	3	0	4	17	269	1,678	605	2,576
სამეგრელო და ზემო სვანეთი	0	0	1	9	141	1,518	588	2,257
თბილისი	0	0	2	9	166	834	276	1,287
იმერეთი	0	0	0	3	77	855	283	1,218
ქვემო ქართლი	0	0	1	3	118	739	192	1,053
შიდა ქართლი	1	2	1	8	80	278	137	507
გურია	1	0	2	4	29	190	177	403
კახეთი	0	0	0	1	34	220	101	356
მცხეთა-მთიანეთი	1	0	0	0	13	109	74	197
სამცხე-ჯავახეთი	0	0	0	1	5	31	18	55
რაჭა-ლეჩხუმი და ქველ სვანეთი	0	0	0	0	0	0	0	0

წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

## სხვა ინფექციური დაავადებების სტატისტიკა

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან, ზემოთ ჩამოთვლილი ინფექციური დაავადებების გარდა, ასევე IDFI-მ მიიღო სხვა ინფექციური დაავადებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, რომელთა მნიშვნელოვან გავრცელებას ქვეყნის მასშტაბით ბოლო წლებში ადგილი არ ჰქონია. მაგალითად ტეტანუსით დაავადების შემთხვევები 2010-2019 წლებში 2 დან 7 შემთხვევამდე მერყეობს. ასევე, მხოლოდ ერთეული შემთხვევებია დიფტერიის ინფექციური დაავადების. მაგალითად 2019 წელს მხოლოდ ერთი მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა კახეთის რეგიონში, ხოლო 2016-2019 წლებში მსგავსი ინფექციით არავინ დაინფიცირებულა.



წყარო: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ინფექციური დაავადებების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო წლებში მსგავსი დაავადებების გავრცელების კონტროლის თვალსაზრისით ქვეყანას მნიშვნელოვანი შეფერხებები არ ჰქონია და ცალკეულ გამოწვევებს, მაგალითად წითელას ეპიდემიოლოგიური აფეთქებები, წარმატებით ართმევდა თავს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით ახალი კორონა ვირუსის პანდემიის შედეგად ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების მასშტაბები მნიშვნელოვნად აღემატება სტატიაში განხილულ საკითხებს, IDFI იმედს გამოთქვამს რომ, ქვეყანა შეძლებს არსებული კრიზისული მდგომარეობიდან ეფექტიან გამოსვლას. ამასთან, მსოფლიოში არსებული მდგომარეობის სიმძიმიდან გამომდინარე, IDFI მოუწოდებს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გამოჩენისკენ, რაც შესაბამისი უწყებების მიერ ახალი კორონა ვირუსის პანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით გაცემული რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულებაში გამოიხატება.